

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება

№1/582

17.12.2018წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში სპეციალური პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად კანდიდატთა ტესტირებისა და

გასაუბრების გამსვლელი ბარიერის დადგენის შესახებ

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებით დამტკიცებული წესის 75-ე მუხლის მე-7 პუნქტის, 76-ე მუხლის მე-7 პუნქტის, 78-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს:

- ა) სპეციალური კონკურსის ტესტირების ეტაპის გამსვლელი ბარიერი (დანართი №1);
- ბ) გასაუბრების ეტაპზე კანდიდატის შეფასებისა და გამსვლელი ბარიერის დადგენის წესი (დანართი №2);
- გ) გასაუბრების ეტაპზე კანდიდატის შეფასების ფორმა (დანართი №3).

2. ბრძანება გაეცნოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორს.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი დაინტერესებული პირისათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

მინისტრი

გიორგი გახარია

დანართი №1

სპეციალური კონკურსის ტესტირების ეტაპის გამსვლელი ბარიერი

1. ტესტირება ტარდება წერილობით ან ელექტრონული ფორმით.
2. ტესტირებისათვის კითხვების შემუშავებას/შერჩევას უზრუნველყოფს სსიპ-საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია.
3. ტესტი შედგება 130 კითხვისაგან (ამოცანისაგან), რომელთაგან 64 კითხვა განკუთვნილია ზოგადი უნარების, ხოლო 66 კითხვა ინტელექტის შემოწმებისათვის. ამ პუნქტით გათვალისწინებულ კითხვებზე დამატებით, ტესტი ასევე შეიძლება შეიცავდეს პროფესიული ცოდნის შესამოწმებელ 100 კითხვას.

4. ზოგადი უნარების შესამოწმებელი კითხვის სწორი პასუხი ფასდება 1 (ერთი) ქულით, არასწორი პასუხი - 0 (ნული) ქულით. ტესტირების ეს ნაწილი ჩაბარებულად მიიჩნევა, თუ კანდიდატი მიიღებს არანაკლებ 30 და არაუმეტეს 64 ქულას.

5. ინტელექტის შესამოწმებლად გამოიყენება შესაბამისი სამიზნე ჯგუფისათვის შემუშავებული კითხვარი. ტესტირების ეს ნაწილი ჩაბარებულად მიიჩნევა, თუ კანდიდატი მიიღებს არანაკლებ 105 და არაუმეტეს 156 ქულას.

6. პროფესიული ცოდნის შესამოწმებელი კითხვის სწორი პასუხი ფასდება 1 (ერთი) ქულით, არასწორი პასუხი - 0 (ნული) ქულით. პროფესიული ცოდნის ტესტის ჩატარების შემთხვევაში, ტესტირების ეს ნაწილი ჩაბარებულად მიიჩნევა, თუ კანდიდატი მიიღებს არანაკლებ 60 ქულას.

7. დაწინაურების კურსზე ჩასარიცხად დასაწინაურებელი პირის მიერ შესარჩევი ტესტირება ჩაბარებულად მიიჩნევა, თუ დასაწინაურებელი პირი დააგროვებს სწორი პასუხების 70%-ს. უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, დასაწინაურებელი პირი სარგებლობს გადაბარების უფლებით, ტესტირების შედეგის დადგომიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში.

დანართი №2

გასაუბრების ეტაპზე კანდიდატის შეფასებისა და გამსვლელი ბარიერის დადგენის
წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. კომისიამ გასაუბრების დროს კანდიდატისგან უნდა მიიღოს მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც საჭიროა პირის მიერ ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

2. გასაუბრების დროს კანდიდატის შეფასება ხდება შემდეგი 7 კრიტერიუმის გათვალისწინებით: ზოგადი პიროვნული მახასიათებლები/ემოციური მდგრადობა, განათლება, სამუშაო გამოცდილება, მოტივაცია, კანდიდატის საქმიანობასთან შესაბამისობა, ინფორმირებულობა, ლოგიკური და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.

3. შეფასება ხდება 4 ქულიანი სისტემით. 4 ქულა არის მაქსიმალური შეფასება, 1 ქულა - მინიმალური.

4. კანდიდატების რაოდენობისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით, შესაბამისი სპეციალური საკონკურსო კომისია განსაზღვრავს გასაუბრების ეტაპის გამსვლელ ბარიერს, რომელიც არ უნდა იყოს 17 ქულაზე ნაკლები.

5. გასაუბრების ეტაპის გამსვლელი ბარიერის დადგენის შესახებ ინფორმაცია აისახება კანდიდატების გასაუბრების ეტაპზე დაშვების შესახებ სპეციალური საკონკურსო კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში.

6. კონკურსანტის შეფასების საბოლოო შედეგი განისაზღვრება კანდიდატის მიერ დაგროვებული ქულათა ჯამის კომისიის წევრთა რაოდენობაზე გაყოფის გზით.

7. გასაუბრების ეტაპის წარმატებით გავლის შემთხვევაში კანდიდატს შედეგი ეცნობება 5 დღის ვადაში.

8. „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებით დამტკიცებული წესის 76-ე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირი სპეციალური პროფესიული პროგრამის გავლის ვალდებულებისგან თავისუფლდება, თუ გასაუბრების ეტაპზე დააგროვებს 26 ან უფრო მეტ ქულას.

მუხლი 2. გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები

1. ზოგადი პიროვნული მახასიათებლები/ემოციური მდგრადობა - კრიტერიუმი აფასებს კანდიდატის ზოგად პიროვნულ მახასიათებლებს, ემოციურ

გაწონასწორებულობას, კეთილსინდისიერებას, ტოლერანტობას, თავდაჯერებულობასა და საუბრის მანერას.

2.განათლება -კრიტერიუმი აფასებს კანდიდატის განათლების დონეს. აღნიშნული კრიტერიუმით განისაზღვრება, პროფესიული ცოდნის დონე და მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

3. სამუშაო გამოცდილება - კრიტერიუმი აფასებს კანდიდატის სამუშაო გამოცდილებას, სფეროს და ხანგრძლივობას. აღნიშნული კრიტერიუმით განისაზღვრება კანდიდატის შესაბამისობა კონკრეტულ სფეროსთან.

4.მოტივაცია - კრიტერიუმი აფასებს კანდიდატის მოტივაციას. პარამეტრით ფასდება კანდიდატის ენთუზიაზმი, შემართება, მიზანდასახულობა.

5.ლოგიკური და არგუმენტირებულიმსჯელობის უნარი - კრიტერიუმი აფასებს კანდიდატის ლოგიკურ და არგუმენტირებული მსჯელობის უნარს. შეფასება ასევე შესაძლებელია კანდიდატისთვის სიტუაციური მაგალითის მიწოდებით, სადაც იგი გამოიყენებს აღნიშნულ უნარს.

6. კანდიდატის საქმიანობასთან შესაბამისობა - კრიტერიუმი აფასებს კანდიდატის დამოკიდებულებას დაწესებულების საქმიანობასთან. შეფასება შესაძლებელია კანდიდატისთვის კითხვის დასმით, თუ როგორ მოიქცეოდა იგი კონკრეტული სიტუაციიდან, ან დავალებიდან გამომდინარე.

7. ინფორმირებულობა - კრიტერიუმი აფასებს კანდიდატის სამომავლო საქმიანობის სფეროს შესახებ ზოგად ცოდნას, ასევე ინფორმირებულობას სამოღვაწეო სფეროში მიმდინარე აქტუალური მოვლენების შესახებ, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

	კრიტერიუმი	კრიტერიუმით შეფასება ხდება შემდეგი სახით
1	ზოგადი პიროვნული მახასიათებლები/ემოციური მდგრადობა	4 ქულა - თავდაჯერებულია, საუბრობს გულახდილად და აღელვების გარეშე, დასმულ შეკითხვებზე იძლევა კონკრეტულ პასუხებს;

		<p>3 ქულა - საუბრობს გულახდილად და მშვიდად, არის მეტნაკლებად თავდაჯერებული და გაწონასწორებული;</p> <p>2 ქულა - არის მეტნაკლებად გაწონასწორებული, საუბრობს გულახდილად, თუმცა აკლია თავდაჯერებულობა და უჭირს კითხვებზე პასუხის გაცემა;</p> <p>1 ქულა - არის დაძაბული, არ არის გულახდილი, აკლია თავდაჯერებულობა და უჭირს კითხვებზე პასუხის გაცემა.</p>
2	განათლება	<p>4 ქულა - აქვს პროფესიული განათლება კონკრეტულ სფეროში და შეუძლია მისი გამოყენება პრაქტიკაში. ასევე აქტიურად ეცნობა მის სფეროში მიმდინარე აქტუალურ მოვლენებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ;</p> <p>3 ქულა - აქვს პროფესიული განათლება კონკრეტულ სფეროში და შეუძლია მისი გამოყენება პრაქტიკაში. ;</p> <p>2 ქულა - აქვს გარკვეული თეორიული ცოდნა კონკრეტულ სფეროში, თუმცა არ შეუძლია მისი გამოყენება პრაქტიკაში. ნაკლებად იცნობს სფეროში მიმდინარე აქტუალურ მოვლენებს.</p> <p>1 ქულა - არ აქვს თეორიული ცოდნა კონკრეტულ სფეროში და პრაქტიკული გამოცდილება. არ ფლობს ინფორმაციას სფეროში მიმდინარე მოვლენების შესახებ.</p>
3	სამუშაო გამოცდილება	<p>4 ქულა - აქვს დიდი სამუშაო გამოცდილება კონკრეტულ სფეროში;</p> <p>3 ქულა - აქვს სამუშაო გამოცდილება კონკრეტულ სფეროში და აკმაყოფილებს მოთხოვნებს;</p>

		<p>2 ქულა - აქვს მცირე სამუშაო გამოცდილება, ნაწილობრივ აკმაყოფილებს მოთხოვნებს;</p> <p>1 ქულა - არ აქვს სამუშაო გამოცდილება, შეუსაბამოა საქმიანობისთვის.</p>
4	მოტივაცია	<p>4 ქულა - არის მოტივირებული, მიზანდასახული, გაცნობიერებული აქვს სამსახურის სპეციფიკა და თავისებურება;</p> <p>3 ქულა - არის მოტივირებული, მიზანდასახული და ენთუზიაზმით აღსავსე.</p> <p>2 ქულა - არის მეტნაკლებად მოტივირებული, თუმცა არ იცნობს სამუშაო სპეციფიკას და თავისებურებებს.</p> <p>1 ქულა - არის დემოტივირებული, არ ფლობს ინფორმაციას სამსახურისა და ორგანიზაციის შესახებ.</p>
5	ლოგიკური და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი	<p>4 ქულა - აქვს განვითარებული ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი, არგუმენტირებულად მსჯელობს. თავისუფლად შეუძლია სიტუაციური მაგალითის დროს უნარის გამოყენება;</p> <p>3 ქულა - აზროვნებს ლოგიკურად, შეუძლია საკუთარი მსჯელობის არგუმენტით გამყარება. შეუძლია სიტუაციური მაგალითის გაანალიზება;</p> <p>2 ქულა - აზროვნებს მეტნაკლებად ლოგიკურად, თუმცა, უჭირს არგუმენტით გაამყაროს საკუთარი ნათქვამი;</p> <p>1 ქულა - უჭირს ლოგიკური მსჯელობა და ვერ ამყარებს არგუმენტით საკუთარ მოსაზრებას.</p>
6	კანდიდატის საქმიანობასთან შესაბამისობა	<p>4 ქულა - სრულიად აკმაყოფილებს პოზიციის მოთხოვნებს. მსჯელობს ლოგიკურად, სიტუაციურ</p>

		<p>დავალებაზე/კითხვაზე არგუმენტირებულ პასუხს სცემს;</p> <p>3 ქულა - შესაფერისია კონკრეტული პოზიციისთვის, კითხვებზე სცემს დამაჯერებელ პასუხებს.</p> <p>2 ქულა - ნაწილობრივ აკმაყოფილებს სამსახურის მოთხოვნებს, თუმცა, უჭირს სიტუაციურ კითხვებზე და დავალებაზე პასუხის გაცემა.</p> <p>1 ქულა - სრულიად შეუსაბამოა სამსახურისთვის, დასმულ შეკითხვებზე ვერ სცემს დამაჯერებელ და არგუმენტირებულ პასუხებს.</p>
7	სამსახურის შესახებ ინფორმირებულობა	<p>4 ქულა - კარგად იცნობს სამსახურის სპეციფიკას და გათვითცნობიერებული აქვს პოზიციისთვის განკუთვნილი ფუნქცია-მოვალეობები. აქტიურად ეცნობა სფეროში მიმდინარე მოვლენებს;</p> <p>3 ქულა - ინფორმირებულია სამსახურის შესახებ და აქტიურად ეცნობა სფეროში მიმდინარე აქტუალურ მოვლენებს;</p> <p>2 ქულა - მეტ-ნაკლებად იცნობს სფეროში მიმდინარე მოვლენებს, თუმცა არ აქვს გათვითცნობიერებული პოზიციისთვის განკუთვნილი ფუნქცია-მოვალეობები;</p> <p>1 ქულა - არ ფლობს არანაირ ინფორმაციას სამსახურის ან პოზიციის შესახებ, სრულიად შეუსაბამოა სამსახურისთვის.</p>

გასაუბრების ეტაპზე კანდიდატის შეფასების ფორმა

სახელი, გვარი:	პოზიცია:
პირადი ნომერი:	

შეფასების შკალა
4 ქულა - შესანიშნავი: ზედმიწევნით შეესაბამება მოთხოვნებს
3 ქულა - მაღალი: აკმაყოფილებს მოთხოვნებს
2 ქულა - საშუალო: ნაწილობრივ აკმაყოფილებს მოთხოვნებს
1 ქულა - დაბალი: ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს

კრიტერიუმის შესაბამისი უჯრები აღინიშნება X-ით

კრიტერიუმები	ქულები				შედეგი
	4	3	2	1	

ზოგადი პიროვნული მახასიათებლები/ ემოციური მდგრადობა					
განათლება					
სამუშაო გამოცდილება					
მოტივაცია					
ლოგიკური და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი					
კანდიდატის საქმიანობასთან შესაბამისობა					
სამსახურის შესახებ ინფორმირებულობა					

ჯამი: _____

კომენტარები / შენიშვნები:

ხელმოწერა: _____